



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის No 070/18¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

შალვა მხეიძე (სტუდენტი)

ფაქტები:

ა.გ-სა (შემდეგში კლიენტი) და ა.ს-ს (შემდეგში ადვოკატი) შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება (შემდეგში ხელშეკრულება). ხელშეკრულებიდან გამომდინარე ადვოკატს ევალებოდა კლიენტის ინტერესების დაცვა შს სამინისტროში, თბილისის პროკურატურასა და სასამართლოში, რისთვისაც ჰონორარის სახით განისაზღვრა 2 000 ლარი. კლიენტმა აღნიშნული ჰონორარი ჩაურიცხა ადვოკატს. ასევე, ხელშეკრულებაში მითითებულია შემდეგი პირობა: „შემოტანილი თანხა ჰონორარის სახით დაბრუნებას არ ექვემდებარება.“ 2018 წლის 30 მარტს კლიენტმა განცხადებით მიმართა თბილისის პროკურატურას, საქმიდან ადვოკატის ჩამოცილების თაობაზე. 2019 წლის 12 აგვისტოს, წინამდებარე საქმის ეთიკის კომისიაში განხილვის დღეს, ადვოკატმა კლიენტს დაუბრუნა ჰონორარის ნაწილი - 200 ლარი.

პროცესუალური ისტორია:

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას (შემდეგში კომისია) საჩივრით მიმართა კლიენტმა, ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით. საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატის მიმართ პროფესიული ეთიკის ნორმების შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

სამართლებრივი ანალიზი:

წინამდებარე შემთხვევაში კომისიის შესაფასებელია: ა) არის თუ არა ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერი, „შემოტანილი თანხა ჰონორარის სახით დაბრუნებას არ ექვემდებარება“, შესაბამისობაში ადვოკატის ეთიკურ ნორმებთან? ბ) არსებობდა თუ არა გამოუმუშავებელი ჰონორარი, რომლის დაბრუნების ვალდებულება ჰქონდა ადვოკატს, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (შემდეგში „აპეკ“) 8.15 მუხლის საფუძველზე. ადვოკატსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულება არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში პროფესიული ეთიკის საფუძველთან. აპეკ-ის 8.15 მუხლიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია, რომ კლიენტს დაუბრუნოს გამოუმუშავებელი ჰონორარი. შესაბამისად, ადვოკატის მხრიდან აღნიშნული ვალდებულების ხელშეკრულებით გამორიცხვა, პირდაპირ მოდის წინააღმდეგობაში აპეკ-ით დადგენილ ზემოაღნიშნულ რეგულირებასთან. ამიტომაც, წინამდებარე შემთხვევაში, ადვოკატის მხრიდან კლიენტთან, ამგვარი პირობით ხელშეკრულების დადება, მოდის წინააღმდეგობაში ეთიკურ ნორმებთან, მიუხედავად იმისა, დაირღვა თუ არა, ფაქტობრივად, აღნიშნული ჩანაწერით დადგენილი ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატისთვის განსაზღვრული ჰონორარი განკუთვნილი იყო კლიენტის ინტერესების შს სამინისტროში, თბილისის პროკურატურასა და სასამართლოში დასაცავად. თუმცა, თითოეული ეტაპისთვის ჰონორარის რა ოდენობა იყო განსაზღვრული, მხარეთა შორის შეთანხმებული არ ყოფილა. ადვოკატს სრულად არ შეუსრულებია აღნიშნული მომსახურება, რადგან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა საქმის საგამომიებო ორგანოში წარმოების დროს. შესაბამისად, იმის გამო რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება სრულად ვერ შესრულდა, ადვოკატი ვალდებული იყო კლიენტისთვის დაებრუნებინა ჰონორარის გამოუმუშავებელი ნაწილი.

¹ [გადაწყვეტილების სრული ვერსია](#)

კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუბრუნოს კლიენტს გამოუმუშავებელი ჰონორარი. შესაბამისად, წინამდებარე შემთხვევაში ადვოკატის მხრიდან კლიენტისთვის ხელშეკრულების შეწყვეტიდან წელიწადნახევარში ჰონორარის თანხის ნაწილის დაბრუნება შეფასდა ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევად.

დასკვნა:

კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატის მიერ დარღვეულია გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება, რისთვისაც მას დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განუსაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.